საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნონა თოლორაიას* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**13**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**15**	**20**
წერის უნარი	**15**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**15**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**5**	**5**
პროფესიული აქტივობები	**4**	**5**
ქულათა ჯამი	**81**	**100**

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი: 28.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ქადაგიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 გადაწყვეტილებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - ნონა თოლორაიას

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 50 პირი, მათ შორის - ნონა თოლორაია.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით;

1.4. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36^3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და, ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ყოველი მახასიათებლის მიხედვით შეფასება დავაფუძნე კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული კომპონენტების ანალიზსა და შეჯერებას, შემდეგნაირად: თუ კანდიდატი ყველა ამ კომპონენტის მიმართ დადებითად შეფასდა, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,სრულად აკმაყოფილებს" მახასიათებელს; თუ კომპონენტებიდან არაუმეტეს ორის მიმართ შეფასება უარყოფითი იყო, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ სამი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდა უარყოფითი, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.5. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების გზით.

I. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ

სახელი, გვარი: **ნონა თოლორაია**

ასაკი: **62 წლის**

დაბადების თარიღი: **10 ნოემბერი, 1958წ.**

განათლება: **ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი - უმაღლესი იურიდიული, მაგისტრთან გათანაბრებული ; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - დოქტორი**

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: **21 წელი**

სამუშაო ადგილი: **სამეგრელო - ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის უფროსი პროკურორი**

II. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით მოსამართლეობის კანდიდატის, ნონა თოლორაიას შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების" შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

1. *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;*
2. *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;*
3. *პიროვნული და პროფესიული ქცევა;*
4. *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;*
5. *ფინანსური ვალდებულება.*

1. პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელი

- კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად:

- რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის - დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას, პრინციპულობას, კეთილსინდისიერებას, მიზანდასახულობას, შრომისმოყვარეობას, კომუნიკაბელურობას და ა.შ. რეკომენდატორებიდან ერთი კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებში უთითებს - „უკომპრომისობას".

- გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად; რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

- ნონა თოლორაიას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია. წარმოდგენილი ინფორმაციით არ იკვეთება კანდიდატის სხვა შეუსრულებელი ვალდებულების არსებობის ფაქტი. დეკლარაციის შევსებისას კანონის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი გამოვლენილი არ არის.

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით, ფიქსირდება შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები: ასკ-ის 125-ე მუხლის მე-6 ნაწილი („საგზაო ნიშნის წესების დარღვევა" - ჯარიმა 20 ლარი; 100 ლარი; 4 შემთხვევა. 3 ჯარიმა გადახდილია დროულად (ვიდეო ჯარიმა)/შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი); ასკ-ის 125-ე მუხლის 6^2 ნაწილი („განლაგების, მოძრაობის დაწყების ან/და მანევრირების წესების დარღვევა"; ჯარიმა - 50 ლარი; 1 შემთხვევა; ჯარიმა გადახდილია დროულად (ვიდეოჯარიმა)/შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი); ასკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილი („სიჩქარის გადაჭარბება"; ჯარიმა - 50 ლარი; 2 შემთხვევა; ჯარიმები გადახდილია დროულად (ვიდეოჯარიმა) / შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი).

წარმოდგენილი და შესწავლილი ინფორმაცია **მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>2. დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

- ნონა თოლორაია 2008-2010 წლებში იყო „რესპუბლიკური პარტიის" წევრი და ეკავა ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის თანამდებობა.

- კანდიდატი 2012 წელს იყო პარტია „ქართული ოცნების" წევრი და ეკავა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში საოლქო შტაბების რეგიონალური კოორდინატორის თანამდებობა, ამასთან, იგი წარმოადგენდა პარლამენტის წევრობის კანდიდატს პროპორციული სიით.

მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატის მიერ გასაუბრების ეტაპზე გაცემულმა პასუხებმა დატოვა მისი პიროვნული სიმყარისა და ზეგავლენის მიმართ მედეგობის შთაბეჭდილება, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ კანდიდატი აქტიურად ეწეოდა პოლიტიკურ საქმიანობას, რაც შესაძლოა აჩენდეს ეჭვს მის პოლიტიკურ მიუკერძოებლობაში. დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, მოსამართლე, ერთი მხრივ, უნდა იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, ხოლო მეორე მხრივ, ის ასეთად უნდა ჩანდეს ობიექტური დამკვირვებლისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ გასაუბრების ეტაპზე, პოლიტიკურ მიუკერძოებლობასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხი არ იყო სრულად დამაჯერებელი.

შესაბამისად, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი ვერ შეფასდება დადებითად.

<u>3. პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

- საქართველოს გენერალური პროკურატურის იურიდიული სამმართველოს უფროსის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნონა თოლორაიას მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

- შსს-ს ერთიან საინფორმაციო ბანკში ინახება ინფორმაცია კანდიდატის მიმართ წარსულში არსებული სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე, სსკ-ის 336-ე მუხლის პირველი ნაწილით (2006 წლის 31 მაისის რედაქცია) გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებით. რამდენადაც აღნიშნულ საქმეზე ნასამართლობა გაქარწყლებულია, მითითებული არ მაძლევს საშუალებას, აღნიშნული ინფორმაცია შეფასების პროცესში გამოვიყენო კანდიდატის საწინააღმდეგოდ.

გასაუბრების ეტაპზე, რიგ შემთხვევებში, გამოიკვეთა კანდიდატის ემოციურობა, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატს არ დაუკარგავს კორექტულობა და მისი ქცევა მკვეთრად იყოს მოქცეული ეთიკის ნორმებში, რაც მიუთითებს, რომ აქვს საკუთარი ქცევის მართვის უნარი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს დადებითად.

<u>4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - მხედველობაში მიიღება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატს ახასიათებენ ძალიან კარგად, ისინი ყურადღებას ამახვილებენ კანდიდატის სამართლიანობაზე, კეთილსინდისიერებაზე, კომპეტენტურობაზე, კოლეგიალურობაზე, პრინციპულობაზე და ა.შ., **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>5. ფინანსური ვალდებულებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ.

ფინანსური ვალდებულებების შემოწმებისას არ გამოვლენილა ის შესაძლო საფრთხეები, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კანდიდატის კეთილსინდისიერება, ამდენად, ამავე მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს დადებითად.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

<u>III. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით</u>

<u>კომპეტენტურობის კრიტერიუმით</u> მოსამართლეობის კანდიდატის, ნონა თოლორაიას შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

1. *სამართლის ნორმების ცოდნა;*
2. *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
3. *წერის უნარი;*
4. *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
5. *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;*
6. *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
7. *პროფესიული აქტივობა.*

1. სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებელი

ჩემ მიერ შეფასებულ იქნა ნონა თოლორაიას მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომები:

სააპელაციო საჩივარი მოსამართლის განაჩენზე:
- სააპელაციო საჩივარი N0012108645, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 13 ნოემბრის განაჩენზე.
შესაგებელი სააპელაციო საჩივარზე:
- 2018 წლის 21 ივნისს ზუგდიდის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში წარდგენილი შესაგებელი N13/23-46736
დადგენილება პირის ბრალდების შესახებ:
- 2019 წლის 17 აპრილის დადგენილება N0012751750 პირის ბრალდების შესახებ.
დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ:
- 2018 წლის 18 ივნისის დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ.
საპროცესო შეთანხმების დადების ოქმი:
- 2019 წლის 18 აპრილის საპროცესო შეთანხმების დადების ოქმი N0012755191.

ასევე გავაანალიზე გასაუბრებაზე დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები და მიმაჩნია, რომ ნონა თოლორაიას პროფესიონალიზმი არის დამაკმაყოფილებელი.

გასაუბრების ეტაპზე:

აუცილებელ მოგერიებასა და უკიდურეს აუცილებლობას შორის არსებული განსხვავების თაობაზე დასმულ შეკითხვას კანდიდატმა ამომწურავი პასუხი ვერ გასცა; აუცილებელი მოგერიების თაობაზე დასმულ შეკითხვას კანდიდატმა სრულყოფილად ვერ უპასუხა.

დაზარალებულის თანხმობასა და დაზარლებულის სავარაუდო თანხმობას შორის არსებულ განსხვავებაზე, კანდიდატმა პასუხი გასცა, თუმცა მსჯელობა ვერ განავითარა.

დანაშაულის პროვოკაციის თაობაზე დასმულ შეკითხვაზე კანდიდატმა ამომწურავად ვერ უპასუხა.

კანდიდატმა ვერ გაიხსენა უკიდურესი აუცილებლობის სახეები.

მოვალეობათა კოლიზიასა და ტრაგიკულ კოლიზიას შორის არსებული განსხვავების თაობაზე დასმულ შეკითხვას, კანდიდატმა არასრულყოფილად უპასუხა, თუმცა განმარტა მოვალეობათა კოლიზიის არსი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 13 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

ნონა თოლორაიას გააჩნია მოსამართლედ მუშაობის 6 წლიანი გამოცდილება, თუმცა გასაუბრების ეტაპზე მისი მსჯელობა, ზოგიერთ შემთხვევაში, საკითხის აშკარად ცოდნის მიუხედავად, არ იყო თანმიმდევრული და სრულყოფილი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 15 ქულით.

3. წერის უნარის მახასიათებელი

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩემ მიერ შესწავლილ იქნა ნონა თოლორაიას სამართლებრივი ნაშრომები, რომლებიც გამართულობის მიუხედავად, ძირითადად ეყრდნობა ფაქტების კონსტატაციას.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 15 ქულით.

4. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი

ნონა თოლორაია აზრს აყალიბებს ნათლად და გასაგებად, ამავდროულად, გააჩნია მოსმენის კულტურა. გასაუბრების პროცესში კანდიდატი იყო ღია და გახსნილი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 15 ქულით.

5. პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებელი

ნონა თოლორაია, მისი ცხოვრებისეული და პროფესიული გამოცდილებიდან გამომდინარე, გამოირჩევა შრომისმოყვარეობით და მიზანდასახულობით, იგი არ უშინდება სირთულეებს და ცდილობს მიიღოს ახალი ცოდნა.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 14 ქულით.

6. აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებელი

ნონა თოლორაია არის სამართლის დოქტორი.
- ნონა თოლორაიას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (04.03.2000წ.)

- კანდიდატს გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი და 1999 წლის 6-7 აპრილს ჩაბარებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული ტესტური გამოცდა.
- კანდიდატმა 1977 წელს დაამთავრა სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს თბილისის სამრეწველო-ეკონომიური ტექნიკუმის სრული კურსი, თემაზე: „სამართალმცოდნეობა და აღრიცხვა სოცუზრუნველყოფის სისტემაში".
- საქართველოს მთავარი პროკურორის 2016 წლის პირველი დეკემბრის ბრძანების საფუძველზე, ნონა თოლორაიას 2016 წლის 13 ნოემბრიდან მიენიჭა მეორე კლასის იურისტის სპეციალური სახელმწიფო წოდება.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 5 ქულით.

7. პროფესიული აქტივობის მახასიათებელი

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს არაერთ შეხვედრასა თუ დისკუსიაში. კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 4 ქულით.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატს ჯამში ვაფასებ - 81 ქულით.

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი : 28.05.2021 წ.